

დიმიტრის ლიაკოსი

Poena Damni

(ნაწყვეტები)

Z213: გამოსვლა

[...]

კაციშვილი არ მოდის ჩემ უკან. ნამდვილად დამივიწყეს. არავინ არასდროს აქ არ მოვა ჩემს სამეზობლად. ვერასოდეს შეძლებს მიპოვოს. ვერავინ ვერასდროს. ვერც ვერაფერი გაიგეს ისე წამოვედი. ვერავინ შემნიშნა, ყურადღებაც კი არ მოუქცევიათ, არავის ახსოვს. ახლა ვერც გაიხსენებენ როგორ ან როდის. მეც კი ვერ გავიხსენებ. მხოლოდ ნაკვალევი, უხილავი ხსოვნა და ის სურათები როდესაც ვყუყურებ, რა დავწერე, ტალახზე დატოვებული ნაკვალევი ნაბიჯებისა, სანამ კვლავ გაწვიმდებოდეს. გზის ბუნდოვანი სურათები და აბდაუბდა ფიქრები, და თუკი მათ სახელების გარეშე წაიკითხავ, ვერაფერს გაიგებ, ეს ნებისმიერ ადგილას შეიძლებოდა ყოფილიყო, და შემდეგ კი არავისთან მისაუბრია და ვინაც მნახა, გამორიცხულია ვახსოვდე. დროდადრო ვიღაც, ნაცნობი სახე ჩნდება, სხვა დროიდან, ვიღაცამ შემოგხედა, იცანი, არა, არა, სხვისი ნაკვთია რომელიღაც უცნობ სახეზე. ან ნაბიჯების რიტმი, რომელიც უკნიდან გესმის, შენივე ნაბიჯების რიტმი, რაზედაც ზოგჯერ გგონია, რომ ვიღაც მოგდევს, როცა ჩერდები, ჩერდება, წამიერად იფიქრებ, რომ შენ უკან მოდის, ან ფიქრობ, რომ ვიღაც სუნთქავს კარს უკან და სადაცაა შემოვა. შემდეგ კი არაფერი, შემდეგ ისევ იგივე, და უეცრად თავს აბრუნებ, თითქოს მისი ხმა გაიგონე. თუმც არავინაა. შორს ხარ, არავინ გიცნობს, არავის სურს შენი პოვნა, არავინ გეძებს. ხვალ კი სხვაგან იქნები, კიდევ უფრო შორს, კიდევ უფრო რთულად მისადგომ ადგილას, საერთოდაც თუ ვინმეს გამოგზავნიან. გზა არ იციან და სანამ გაიგებენ, შენ უკვე სულ სხვაგან იქნები. იციან როგორ გეძებონ, მაგრამ გზა არ იციან. რომც ჰქონდეთ ძებნა დაწყებული, მაინც შორს იქნებიან ჯერ კიდევ. და არც ბევრნი იქნებიან. შესაძლოა მხოლოდ ერთი იყოს. ერთი, როგორც ყველა ერთად. იგივე თვალეები, რომლებიც ეძებენ, იგივე ტვინი, რომელიც მომდევნო მოძრაობას გათვლის. იგივე ფეხები, რომლებიც მირბიან, იგივე ხელები,

რომლებიც განზე იშლებიან. ყურები, რომლებიც აყურადებენ, ნესტოები მათი ნადავლის ზემოთ. ყოველთვის ასე იქცეოდნენ. ორი თვალი, ორი ყური, ორი ნესტო, ორი ხელი, ორი ფეხი. სიმეტრია მანქანისა, რომელიც შენ დაგდევს. ბადე, რომელიც ფიქრობს, გადაწყვეტს და წინ მიიწევს. თავი როგორც ნემსკავი, სხეული როგორც ქამარი. ყველა იგივეა. მეც. ერთი მეორის უკან. წინ, უკან, უფრო უკან, გზას მიჰყვებიან. და თუ არ იცი, რომც არ გინდოდეს, მაინც წინ გარბიხარ, რადგან შენ უკან ყოველთვის ვიღაც მოდის. ნელა თუ სწრაფად, მოგყვება. და ოდესმე მოაღწევს, ხელი, რომელიც მხარზე გეხება, ან მატლი, რომელიც ხელზე გაცოცდება. ნერწყვის ბალიშზე გორავს. წინ. გორვისას იზრდება და გარშემო გეხვევა. ბრტყელი ენა თავის ნერწყვზე გაწოლილა და ორი თვალით ზემოთ უყურება, რათა დაგინახოს. იქნებ შენ კი არა, ზვერავს საიდან უფრო ხელსაყრელია დაწყება. სწორედ მასავით, ვინც იმ ღამით, ჩვენ რომ გვშიოდა, გაღებულ პირი ამოიკაწრა მუცელზე. ასე ეს ენა მუცელიცაა და პირიც, რომელიც სულ გაღებულა. იქიდან კი სხვაგან მიდიხარ, შიდა გზებით, შენ წინ რომ იხსნება, ნაწლავის ხვეულებში, და იქ ცხადია უგრძნობი ხარ, უგრძნობად დაადგები დაბრუნების გზას და როდესაც იღვიძებ, კვლავ იქ, შიგნით წაუყვანიხართ.

[...]

შენ ღამით გძინავს. ღამით იღვიძებ. ხის ჩრდილიც კი არსადაა, ერთი ნიშანიც კი არაა, არაფერი - სწორად რომ იდგეს. უდაბნო. ქვიშა. მათაც შენსავით სძინავთ. ღამე. ყოველ ჯერზე, როდესაც დგები, ელოდები, როდის ინათებს, ღამეა, გძინავს, იღვიძებ, ღამე. ასე გრძელდება უამრავი დღე, მანამ სანამ დამოგზაურობ. ისე თითქოს შუქს მიჰყვებოდე, ზუსტად იმავე სიჩქარით რომ გშორდება, რა სიჩქარითაც წინ მიიწევ. არის დღეები, როცა ასეა. მერე ცოტა ხნით ინათებს, სულ ცოტა ხნით. ჰორიზონტზე ერთი ხაზი, სინათლე, ცა, ქვიშა, ნაცარი, მეტი სინათლე, საიდან მოდის, არ იცი, ასე გრძელდება სადღაც ორი საათის განმავლობაში, მერე კი ისევ ღამე. შემდეგ კვლავ იგივე, უკვე აღარ შეგიძლია გამოითვალო რამდენ ხანს გრძელდება დღე და ღამე და არც სინათლე. თავდაპირველად, ყოველი დღე თითქმის ერთი და იგივეა, შემდეგ უფრო და უფრო მცირდება, ბოლოს კი ფიქრობ, რომ სულ რაღაც ხუთი წუთის განმავლობაში თენდება და ღამდება კიდევ. ისე თითქოს დრო იშლებოდეს, აქ არაფერი არ კვდებოდეს. და დღე როგორც მატარებელი, შენ წინ მივბის, ცოტა ხანს იცდის, შემდეგ კვლავ გარბის. ჰა, სადაცაა სტვენას მოისმენ სადღაც წინიდან, როგორც ქარისას, ძილში რომ ძვრება. და როცა გძინავს, წარმოდგენა არ გაქვს რა ხდება, რა შეიძლებოდა შეცვლილიყო სანამ გეძინა. სხვაგვარად ხომ არაა ყველაფერი ახლა, როდესაც გაიღვიძე, შესაძლოა უწინ სხვაგვარად ყოფილიყო და არ გახსოვდეს. ან იგივე პეიზაჟი თუა, ისედაც ხომ მის უმცირეს ნაწილს ხედავ. ან შესაძლოა არც გახსოვდეს, სხვა რამ გახსოვდეს, გძინავს, იღვიძებ ამდენჯერ, ასე ხშირად, არც კი იცი, როდის გძინავს, როდის იღვიძებ, ან კი რატომ უნდა გეღვიძოს, ახლა იქნებ გეძინოს კიდევ და ის, რაც გახსოვს, ძილში გახსოვდეს, რომელიღაც სიზმარში იღვიძებდე, რომელიღაც სიზმარში გახსოვდეს, სხვა ხსოვნაა, სხვა რამეები გახსოვს სიზმარში, ის კი არა, შეგიძლია საკუთარი ცხოვრებაც კი გქონდეს სიზმარში, გახსოვდეს ვინ ხარ იქ და რას აკეთებდი, თუმცაღა იქნებ სულაც არ იყო ის, ვინც იყავ, როდესაც გღვიძავს, ეჭვიც კი არ გებადება ვინ ხარ სიზმარში, და არც მაშინ როცა იცვლები და სულ იცვლები, ერთი კითხვაც კი არ გიჩნდება, ასე ყველაფერი ბუნებრივია, არაა უცნაური, მუდმივად იცვლები, შენი სხეული, შენ გარშემომყოფნი, ყველაფერი ყველგან იცვლება, შენ ვიღაც

სხვა ხარ, თუმც იგივე ხარ, ზუსტად იგივე. ესაა გაგრძელება, დამოგზაურობ, შესაძლოა წარმოსახვაში, ქალაქის ნამდვილ სამყაროში, ღმერთი რომელიც ერთმანეთში ურევს პეიზაჟებსა და შენობებს, ანგრევს, ახალ გზებს ხსნის, არ მოსწონს, ისევ ცვლის, თუმცა ბზარი არ არსებობს, მისი სამყარო ერთია, და შენ ვერც კი იგებ რა არის ბზარი, არც უკუგდება იცი რა არის, შენ მხოლოდ გაგრძელებას სცნობ. აცრა, მაშინვე რომ ივიწყებ, აპკი, რომელიც ნელ-ნელა ეფინება ყოველივეს, რაც კი გახსოვდა, იცვლება, ყველაფერი, იცვლება ხსოვნა, იცვლები შენ, ვიღაც სხვა ქალი, რომელსაც ეძებ, არ იცი სხვას მოძებნიდი თუ არა, შენ სხვა იმედი რომ გქონოდა და სხვა მიზანი. ხვალ შესაძლოა ეს რაღაც სხვაც კი წაიშალოს, სამყარომ ახალი მოსასხამი მოირგოს, მაგრამ შენ ამას ვერასდროს მიხვდები, არ შეგიძლია ამის გაგება. და რას იზამდი, სინამდვილე ის რომ იყოს, რაც კი შენ გახსოვს. და ან ამას შენ ვინ გეტყოდა. ან ეს რომ იყოს შენი ნამდვილი ისტორია. ანდა სახელი, რომელსაც მალავ, და ეს სახელი სახელთა წყების უკანასკნელი სახელი რომ ყოფილიყო, შენ რას იზამდი.

რაც უნდა იყოს, მე თუ საკუთარ თავზე ფიქრი აქ შემიძლია, გარეთაც უნდა არსებობდეს რაღაც, სხვაგანაც. და თუ ეს სხვაგან ჩემ ტვინშია, ჩემი ტვინი ხომ მხოლოდ რაღაც ერთი ნაწილი კი არ არის და ერთიანი, მას აქვს აქ და იქ, შიგნით და გარეთ, იქ სადღაც შიგნით არსებობს ის, რაც გარეთაა. რაღაცა, რაც ჩემ გარეთაა. სადღაც სხვაგან. თუმცა არ ვიცი, სად უნდა იყოს იგი, სად ვარ მე, რომელ რუკაზე უნდა ვიყო, რომელი არის აქ ან სხვაგან. ამას ფიქრი თავისით ამბობს. და ყოველივე სულ სხვაგვარად რომც იყოს და მე არ მახსოვდეს, და ყოველივე ჩემ გარშემო ყალბი რომ იყოს. აქ ვარ, იქ არ ვარ. ორი სამყარო, ერთმანეთისთვის სრულიად უცხო. შემდეგ ადგილი, მანძილი, გზა, და მერე რა რომ არ ვყოფილვარ მე მოგზაური. გზა ხომ არსებობს.

რაღაც თვლემისმაგვარით დაიწყო. ყველაფერს ვხედავდი, რაც ხდებოდა, მაგრამ განძრევა არ შემეძლო, პირის გაღებაც კი არ შემეძლო. უბრალო რამეებზე ფიქრიც კი, სად ვარ, რა დღეა, რომელი საათი. დარწმუნებული არ ვიყავი. ისეთ ბუნდოვანებაში ვიყავი, გარჩევა არ შემეძლო. ძალიან მცხელოდა. გაშიშვლება მინდოდა. გავიხადე. ჩემ გვერდით ვიღაც იწვა, დაცემული, მინდოდა თავზე დამეფსა მისთვის იმ პოზაში, როგორშიც იწვა. ვცადე კიდევ, მაგრამ არაფერი გამომივიდა.

შეიძლება საჭმლისაგან ყოფილიყო, შეიძლება რამისგან, რაც შევისუნთქეთ. თუმცა არაფრის სუნი არ ჰქონდა. ბურუსში დავიწყე ყურება. პირი ერთიანად გამომშრობოდა. უცებ გულმა უფრო ძლიერად და სწრაფად დამიწყო ცემა. კანი მეწვოდა და წითლდებოდა. იწვოდა. გიჟებივით მოგვწყურდა, უძლურება და ხელები და ფეხები, რომლებიც არ გვემორჩილებოდა, ვერ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს.

ორი ასო მეორე ზ იყო მგონი და მერე რაღაც ციფრები. ეს რაღატომ მახსოვს? ისიც კი არ მახსოვს სად ვნახე ეს წარწერა. შეიძლება ის ყოფილიყო, რითაც დაგვაშორეს, შესაძლოა განაყოფი და რამდენიც იქ ვიყავით. კუთხეში მივიყუჩე და აქეთ-იქით ყურება დავიწყე. მერე კი, რაღაც სიხშირით, შიში, რომელიც უცებ მეუფლებოდა, მაგრამ არ ვიცი რატომ. ვუყურებდი და თავიდან ვერ ვიჯერებდი

ვიღაც ამოძვრა საკანალიზაციო ჭიდან, იგინებოდა და სიცილით იხეოდა. მერე შუბლში ქვა მიიღო, დაეცა და ჩემ გვერდით მიესვენა. ვხედავდი, როგორ ამოეზარდა თავიდან რაღაც კბილისმაგვარი. მზე როგორ წითლად ჩამოვიდა და ბოლს უშვებდა. და დავიძინეთ. და გავიღვიძეთ და რაღაც გროვა სინათლისა, კიბე, რომელიც ღრუბლებიდან მიწაზე ეშვებოდა. ფეხებივით ჰქონდა მიწაზე და თავი ცაში. ადიოდნენ და ჩადიოდნენ მასზე. და ადიოდნენ და ჩადიოდნენ მასზე ანგელოზები ჩვენი სახეებით. და ჩემ უკან თქვა: ნუ გეშინიათ. და ადიოდნენ და ჩადიოდნენ მასზე ანგელოზები. ნუ გეშინია, რადგანაც გზაზე მე დაგიცავ.

და თქვა, ადიხარ და ჩადიხარ და როდესაც ქვემოთ ხარ, იწვიან შენები და შენი ხსოვნა და შენ არ გინდა მათი დატოვება. ყველაფერი ბოლომდე დაიწვება, იტანჯები, თუმცა შენ კი არავინ დაგსჯის, მხოლოდ შენს სულს გაათავისუფლებენ. ნუ გეშინია, რადგანაც სანამ სიკვდილისა გეშინია, სულს დემონებივით დაგიგლეჯენ. მხოლოდ დამშვიდდი და ნახავ ანგელოზებს, რომლებიც შენ გაათავისუფლებენ

და მერე თავისუფალი იქნები. და აილო ქვა და ზემოდან ზეთი
გადმოღვარა.

რალა თქმა უნდა, ისინი მიჰყავდათ, რათა ჩვენ თვალწინ არ
დაეხოცათ. მოჰყავდათ მიჰყავდათ. შემდეგ ჩემი ჯერიც დადგა. დღეები
მიდი-მოდიოდნენ და ისინი მე თვალებში მიყურებდნენ. ღრმად მეძინა
და როცა მეღვიძა, ისევ ვერ ვიგებდი სად ვარ, გვერდით გავხობდებოდი
და ვუყურებდი, ვიღვიძებდი ერთი ადგილიდან მეორეში, ვიღვიძებდი,
ვიღვიძებდი, ვიღვიძებდი, არ მახსოვდა, მახსოვდა, მერე კი თითქოს
არაფერიც არ მომხდარა, უბრალოდ რაღაც ტყუილი, რომელიც ნელ-
ნელა ქრება და უკან ბრუნდება. გათანგვა.

ბერძნულიდან თარგმნა თათია მთვარელიძემ